ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
„ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი“

აუდიტორული ანგარიში
(01.03.2020_01.01.2022)

ეგზავნება:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
მერს

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური

მარტი 2022 წ.

სარჩევი

I. შესავალი ----------3

1.ზოგადი ნაწილი.....3

2. შესამოწმებელ პერიოდში სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.....3

II. ძირითადი რისკები 5

III. ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები.....5

IV. დეტალური ინფორმაცია აღმოჩენილი ფაქტების შესახებ.....6

V. რეკომენდაციები 15

პასუხისმგებელი პირები ----------16

ხელმოწერები ----------16

I. შესავალი

1. ზოგადი ნაწილი

შიდა აუდიტის საფუძველი--ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 30 დეკემბრის N ბბ.22213645 ბრძანება.

შიდა აუდიტის ობიექტი--ა.(ა).ი.პ. ,,ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი".

აუდიტის პერიოდი-- 2020 წლის 1 მარტიდან 2022 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ჩატარების ვადა-- 2022 წლის იანვარი-მარტი.

შიდა აუდიტის ამოცანა:

1. 2020 წლის 1 მარტიდან 2022 წლის 1 იანვრამდე პერიოდში (ა).ი.პ. ,,ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრში" ფუნქციებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, საოფისე, სახელფასო, სატრანსპორტო და სხვა საბიუჯეტო გეგმით გათვალისწინებული ხარჯების განხორციელების შედეგად გაწეული მუშაობის შესწავლა.
2. ცენტრის მიერ უძრავი და მოძრავი ქონების შესახებ მიღებული სამართლებრივი აქტების მომზადებისა და განხორციელების შესწავლა.
3. ცენტრის მატერიალურ აქტივებზე ფულადი სახსრების ხარჯვის, გაწეული ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმება.
4. ცენტრის მიერ გამოცემული აქტების, მათ შორის წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების შესწავლა.

2. შესამოწმებელ პერიოდში ა.(ა).ი.პ. ,,ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი"-ს საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ,,ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის–ცენტრი" (შემდგომში ცენტრი), არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, დაფუძნებულია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2010 წლის 17 დეკემბრის N42 განკარგულების საფუძველზე შესაბამისი წესდებით. ცენტრის დამფუძნებელია ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 430024555 და შექმნილია განუსაზღვრელი ვადით. ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი 2019 წლის 18 დეკემბრიდან არის ოლეგ შველიძე (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 18 დეკემბრის N43 1999 ბრძანება), მთ. ბუღალტერი – ირაკლი ჩხეიძე (ცენტრის 2011 წლის 3 იანვრის №4 ბრძანება). ცენტრი დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში 2010 წლის 20 დეკემბერს. ცენტრს დამფუძნებლიდან (ზესტაფონის მერიიდან) უსასყიდლო უზუფრფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემული აქვს რუსთაველის ქუჩა N49-ში მიწის ფართი ნაგებობასთან ერთად 7818 კვ.მ საკადასტრო კოდი 32.10.34.570, სადაც ამჟამად განთავსებულია ცენტრის ოფისი. გარდა ამისა, ცენტრს ასევე უსასყიდლო უზუფრფრუქტის წესით გადაცემული აქვს შემდეგი ფართები: შენობის ფართი 33,5 კვ.მ ზესატფონში ბიბილაშვილის ქუჩა N7-ში, საკადასტრო კოდი 32.10.37.184.01.500; აღმაშენებლის ქუჩა N-21-ში მიწის ნაკვეთი 349 კვ.მ,

საკადასტრო კოდი 32.10.37.181; აღმაშენებლის ქუჩა N21-ში მიწის ნაკვეთი 5203 კვ.მ, საკადასტრო კოდი 32.10.37.407. თავის საქმიანობას ცენტრი წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, საკრებულოსა და მერიის დებულებებისა და საკუთარი წესდების საფუძველზე. ცენტრის საქმიანობა, მიზნებიდან გამომდინარე, ვრცელდება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

ცენტრს გააჩნია იურიდიული პირის ყველა ატრიბუტი: დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, საანგარიშსწორებო ანგარიში ხაზინაში. ცენტრზე კონტროლს ანხორციელებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო. ცენტრს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი. ცენტრის ფაქტიური იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ზესტაფონი, რუსთაველის ქ. N49.

ცენტრის დაფინანსების წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი.

ცენტრის ძირითადი მიზნები და ამოცანები:

ცენტრის კომპეტენციას განეკუთვნება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვისა და კეთილმოწყობის მხრივ მომსახურების ორგანიზება.

საქმიანობის ძირითადი მიზნებიდან და კომპეტენციებიდან გამომდინარე ცენტრის ფუნქციებს განეკუთვნება:

ა) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგვა-დასუფთავების ორგანიზება;

ბ) ნარჩენების შეგროვების, გაუნებელყოფისა და განთავსების ადგილზე ტრანსპორტირების ორგანიზება;

გ) ზესტაფონის მუნიციპალიტეტში არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდისა და მოვლა-პატრონობის ორგანიზება;

დ) დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის სფეროში კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და ნორმების კონტროლი;

ე) ქალაქ ზესტაფონში არსებული სკვერების, გაზონებისა და ბაღების (დასვენების პარკების) მოვლა-პატრონობისა და გამწვანების ორგანიზება;

ვ) ქალაქ ზესტაფონის ქუჩების გარე განათების მოვლა-პატრონობის ორგანიზება;

ზ) ქალაქ ზესტაფონის ტერიტორიაზე უზედამხედველო პირუტყვის (მსხილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი) და უპატრონო (მაწანწალა) შინაური ცხოველების (ძაღლი, კატა და სხვა) აღკვეთის ორგანიზება;

თ) განახორციელოს კონტროლი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაზე, რისთვისაც ქმნის ინსპექტირების ჯგუფს; ხელშეკრულების მოთხოვნათა შესაბამისობის დადგენის შემდეგ გააფორმოს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი;

ი) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის დავალებით ზესტაფონის მთელ ტერიტორიაზე სხვადასხვა სამუშაოების შესრულება.

ცენტრი ახდენს ქალაქის 90 ქუჩის, 11 სკვერის, 1 ე.წ ირინეს პარკის და 18 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლებიდან საშუალოდ თვეში 1000-1100 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას, გარე განათებების მოვლა-პატრონობას; მკურნალობა და კასტრაცია უტარდება 80-100 მაწანწალა ძაღლს წელიწადში, ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მეშვეობით.

იკრიჭება ბაგა–ბაღების ეზოები, ეკლესიების ეზოები და გაზონები ბენზოცელით; პერიოდულად ხდება გრეიდერით სოფლის გზების მოხრეშვა - მოშანდაკება, ირგვება გაზონებში ყვავილები და სხვადასხვა სახის ნარგავები ქალაქის მთელ ტერიტორიაზე. საერთო დასასუფთავებელი ფართია 323 817 კვ.მეტრი, რომელსაც ემსახურება 52 მეეზოვე.

II. <u>ძირითადი რისკები</u>

წლიური ხარჯთაღრიცხვების არასწორად დაგეგმვამ და არათანაბრად ხარჯვამ, შესაძლებელია გამოიწვიოს ცენტრის სამეურნეო პროცესებისა და საქმიანობის შეფერხება, რაც უარყოფითად იმოქმედებს ცენტრის მიზნების მიღწევაზე.

ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის განხორციელების დროს დაშვებულმა შეცდომებმა, შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს მატერიალურ ფასეულობათა ნაშთების დადგენაზე, გამოუყენებელი აქტივების გამოვლენაზე, არაფინანსური აქტივების ექსპლუატაციის წესების დაცვაზე, ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალობის დადგენაზე. ასევე, აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტიური ნაშთებისა და ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემების შედარების სისწორეზე.

მოქმედი კანონმდებლობის გაუთვალისწინებლად განხორციელებულმა საბუღალტრო დოკუმენტების წარმოებამ, არაფინანსური აქტივების შენახვასა და ხარჯვაზე დოკუმენტების გაფორმების სისწორის დაუცველობამ, შესაძლებელია გამოიწვიოს სამეურნეო პროცესებისა და საქმიანობის შედეგების შესახებ მცდარი ინფორმაციის ჩამოყალიბება.

III. <u>ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები</u>

ცენტრში ბოლო აუდიტორული შემოწმება ჩატარებულია ჩვენი სამსახურის მიერ 2020 წლის მარტში, რომელმაც მოიცვა 2018 წლის ბოლო 5 თვე, 2019 წელი მთლიანად და 2020 წლის პირველ მარტამდე პერიოდი, ხოლო მიმდინარე შემოწმებამ მოიცვა 2020 წლის 1 მარტიდან 2022 წლის 1 იანვრამდე პერიოდი. აუდიტორული აღმოჩენები ასეთ სურათს იძლევა:

-ცენტრის წესდებაში არაა შეტანილი 2017 წელს მუნიციპალიტეტის იურიდიული ფორმის ცვლილების შედეგები (გამგეობა რეფორმირდა მერიად).

-არაა დანერგილი სამუშაო დროის აღრიცხვის სატაბელო სისტემა ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის.

-არაა მოწესრიგებული ცენტრის იურიდიული მისამართის საკითხი.

-ბენზო იარაღებით შესრულებული სამუშაოს აქტები, ასევე ელექტრო საქონელის ჩამოწერის აქტები არ არის დანომრილი და არ რეგისტირდება შესაბამის დალუქულ ჟურნალში.

-კვლავ ფიქსირდება შემთხვევები, როცა ექსკავატორისა და გრეიდერის მიერ შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელ დოკუმენტზე ხელს არ აწერს იმ ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი, რომელშიც შესრულდა სამუშაო.

-წინა აუდიტის დროს ჩატარებული საწვავის ხარჯვის ქრონომეტრაჟის შედეგად დადგენილ ნორმებთან შედარებით ადგილი აქვს 3-4 ლიტრით მეტი საწვავის ხარჯვის შემთხვევებს 100 კმ-ზე გაანგარიშებით.

IV. <u>დეტალური ინფორმაცია აღმოჩენილი ფაქტების შესახებ</u>

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მალხაზ კურცხალიას და III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მიხეილ ბრეგვაძის მიერ, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის", საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის", ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულებისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 30 დეკემბრის N ბბ.22213645 ბრძანების საფუძველზე, ა.(ა).ი.პ. ,,ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრში" ჩატარდა 2020 წლის 1 მარტიდან 2022 წლის 1 იანვრამდე პერიოდის გეგმიური აუდიტორული შემოწმება.

შემოწმებას ესწრებოდნენ და სათანადო ახსნა-განმარტებებს იძლეოდნენ ა.(ა).ი.პ. ,,ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრის'' უფროსის მ/შ ოლეგ შველიძე და მთავარი ბუღალტერი ირაკლი ჩხეიძე. წარმოდგენილი საბუღალტრო ჩანაწერებისა და სხვა დოკუმენტების შემოწმების საფუძველზე დადგენილია შემდეგი:

ა.(ა.)ი.პ ,,ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის–ცენტრში'' ფუნქციებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ორგანიზაციის საშტატო ნუსხის, პირადი საქმეებისა და შიდა სამართლებრივი აქტების წარმოების აუდიტი.

ცენტრის წესდებაში ცვლილებების შეტანის რეკომენდაცია, 2017 წელში მუნიციპალიტეტში მომხდარი რეფორმების შესაბამისად, ცენტრს მიეცა წინა აუდიტის დროს. ცენტრმა 2021 წლის 1 თებერვალს წერილით N40-2221032245 მიმართა დამფუძნებელს აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად, თუმცა დღემდე საკითხი გადაუწყვეტელია.

მოსაწესრიგებელია ასევე ცენტრის იურიდიული მისამართის საკითხი, ვინაიდან სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის მიხედვით იურიდიულ მისამართად მინიშნებულია ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N11 (ანუ მერიის მისამართი), ხოლო საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებულია რუსთაველის ქუჩა N49 (აქვე უნდა აღინიშნოს მექანიკური შეცდომა საჯარო რეესტრის ამონაწერში, სადაც ქუჩის ნომერი ნაცვლად N49-სა წერია N494, რომელიც ასევე გასასწორებელია საჯარო რეესტრის მიერ). ვინაიდან ცენტრი ფაქტობრივად ფუნქციონირებს რუსთაველის ქუჩა N49-ში, ყველა დოკუმენტში უნდა იყოს მითითებული ეს მისამართი.

აუდიტის პროცესში ცენტრში მოქმედებდა საშტატო განრიგი 144 თანამშრომელზე (შეთანხმებულია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერთან). 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ვაკანტურია 3 საშტატო ერთეული, მ.შ. ერთი მეეზოვე, ერთი ტუალეტის დამლაგებელი და ერთი მდივან-ოპერატორი.

ცენტრში თანამშრომელთა პირად საქმეებს, ბრძანებების წიგნს, ასევე სათანადო ბრძანებების გამოცემას აწარმოებს სპეციალისტი (საქმის მწარმოებელი). საქმისწარმოების კუთხით გაიცა მითითება შემოღებული იქნას თანამშრომელთა სამუშაო დროის აღრიცხვის სატაბელო სისტემა, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს ხელფასების გაანგარიშება თითოეულ თანამშრომელზე.

2022 წლისათვის სამსახურებრივი საწვავით პირადი ავტომანქანისთვის სარგებლობს 5 თანამშრომელი, რაზედაც გამოცემულია ცენტრის უფროსის მ/შ 2021 წლის 14 იანვრის N4 ბრძანება თვის განმავლობაში მათზე გამოყოფილი საწვავის ლიმიტების შესახებ. უფროსის მ/შ

გამოყოფილი აქვს 550 ლიტრი ბენზინი, ერთ მოადგილეს-100 ლიტრი ბენზინი და 30 ლიტრი დიზელი, მოადგილეს-100 ლიტრი ბენზინი, სპეციალისტს-50 ლიტრი დიზელი, სპეციალისტს - 20მ³ ბუნებრივი აირი. რაც შეეხება გამოყოფილი ლიმიტების ათვისებას, ყველა თანამშრომელი საწვავის ლიმიტებს ითვისებენ სრულად, გარდა ცენტრის უფროსის მ/შ.

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, შესყიდვების პროცედურების წინამოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების, შესყიდვებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების მომზადების აუდიტი.

ცენტრი დარეგისტრირებულია სახელწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. საანგარიშო პერიოდში ცენტრის მიერ განხორციელებულია სახელმწიფო შესყიდვები კონსოლიდირებული ტენდერების, გამარტივებული შესყიდვების და გამარტივებული ელექტრონული ტენდერების მეშვეობით. ცენტრი შესყიდვების განხორციელებას ახდენდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანების მეშვეობით. შესყიდვები განხორციელებულია ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებებით.

2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით განხორციელდა 107 სახელმწიფო შესყიდვა საერთო თანხით 708365,41 ლარი, მათ შორის 29 შემთხვევაში კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით 246386,10 ლარი, ელექტრონული ტენდერის საშუალებით 13 შემთხვევაში 349405,27 ლარი, ხოლო გამარტივებული შესყიდვის გზით 65 შემთხვევაში 112574,04 ლარი (დანართი N1). უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრმა 2020 წელში განახორციელა სახელმწიფო შესყიდვა გადაუდებელი აუცილებლობით, რომელიც განპირობებული იყო ცენტრის მხრიდან დამოუკიდებელი მიზეზების, ფაქტორებისა და გარემოებების გამო. ასეთი შესყიდვებია კერძოდ;

<u>N-33 ხელშეკრულება.</u> თანხით 5990 ლარი SMP200000903. ცენტრის ბალანსზე რიცხული სპეცმანქანებისათვის დიდი ტვირთამწეობის საბურავების შესყიდვის განხორციელება იგეგმებოდა კონსოლიდირებული ტენდერებით CON190000733 და CON190000734. ვინაიდან კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გათვალისწინებული საბურავების ის მოდელი, რომელიც ესაჭიროებოდა სერვის ცენტრს, იმ ეტაპისთვის მომწოდებელს არ გააჩნდა. ცენტრის ქონებაზე პასუხუსმგებელი პირის 2020 წლის 11 მარტის N111 მოხსენებითი ბარათის და ცენტრის უფროსის მ/შ 2020 წლის 12 მარტის N98 ბრძანების საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარემ 2020 წლის 17 მარტს გამოსცა N1037 განკარგულება, რითაც სერვის ცენტრს მიეცა გამარტივებული შესყიდვის განხორციელების თანხმობა. ჩატარებული შესაბამისი ბაზრის კვლევის შედეგად ცენტრმა განახორციელა აღნიშნული საბურავების შეძენა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

<u>N-35 ხელშეკრულება.</u> თანხით 1860 ლარი SMP200001597. ცენტრის სპეცმანქანა მერსედესისათვის სახელმწიფო ნომერი XQ-741-QX საბურავების 10.00.R22.5 შესყიდვა. გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერით CON190000733 ვერ ხდებოდა შესყიდვით განსაზღვრულ ვადებში მიწოდება. ცენტრმა დაასაბუთა და შესაბამისად ატვირთა შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში, რომ მის ბალანსზე რიცხული ავტომობილი მუშაობს დღემდე მოყოლილი ქარხნული საბურავებით. ორი წლის მუშაობის პერიოდში მანქანამ გაიარა 57000 (ორმოცდაჩვიდმეტი) ათასი კილომეტრი, მანქანას უწევდა გრუნტიან გზებზე

მუშაობა, გაიცვითა და მწყობრიდან გამოვიდა საბურავები. ავტომანქანის გაუმართაობა გამოიწვევდა მოსახლეობის უკმაყოფილებას. ცენტრის ქონებაზე პასუხუსმგებელი პირის 2020 წლის 6 აპრილის N151 მოხსენებითი ბარათის და ცენტრის უფროსის მ/შ 2020 წლის 10 აპრილის N127 ბრძანების საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2020 წლის 14 აპრილს გამოიცა N1690 განკარგულება, სადაც სერვის ცენტრის მოთხოვნები დააკმაყოფილა და მისცა თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე. ჩატარებული შესაბამისი ბაზრის კვლევის შედეგად ცენტრმა განახორციელა აღნიშნული საბურავების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

<u>N-75 ხელშეკრულება.</u> თანხით 1494 ლარი. 2020 წლის 30 სექტემბერს სამშენებლო მასალების შესყიდვისათვის ცენტრმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT200015234, ელ.ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს ,,ნიუ გრუპი''. 2020 წლის 19 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების 5.2 პუნქტის თანახმად ცენტრისათვის სამშენებლო მასალების მიწოდების ვადა განისაზღვრა 2020 წლის 29 ოქტომბრამდე, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2020 წლის 30 ნოემბრამდე. გამარჯვებული პრედენდენტი, მიუხედავად ცენტრის მიერ არაერთგზის გაფრთხილებისა (სატელეფონო, ელ.ფოსტის, წერილობითი კომუნიკაცია), არ ასრულებდა ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებას. ცენტრმა 2020 წლის 24 ნოემბერს N407 წერილით მიმართა შპს ,,ნიუ გრუპის'' ხელმძღვანელს და აფრთხილებდა საქონლის მიწოდების ვადების დაცვის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვეტდა N75 ხელშეკრულებას და მიმართავდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შპს ,,ნიუ გრუპის'' შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ. ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ცენტრის ხელმძვანელობამ საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება და მიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2020 წლის 2 დეკემბერს N428 წერილით, სადაც ითხოვდა პრეტენდენტის შპს „ნიუ გრუპის“ შავ სიაში რეგისტრაციას. შესყიდვების სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის N19 ბრძანებით დამტკიცებული ,,შავი სიის წარმოებისა და პირობების'' მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით შესაბამისად და 2021 წლის 2 თებერვალს გამოსცა N297 განკარგულება და შპს „ნიუ გრუპი“ დაარეგისტრირა შავ სიაში. ხელშეკრულება N75-ს მიენიჭა ,,შეუსრულებელი''-ს სტატუსი. რაც შეეხება საქონლის შესყიდვის პროცედურის დასრულებას, ცენტრმა 2020 წლის 2 დეკემბერს N432 წერილით მიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის თაობაზე. სააგენტომ თავის მხრივ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის'' მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დააკმაყოფილა სერვის ცენტრის მომართვა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე SMP200004976, რაც დასტურდება სააგენტოს მიერ 2020 წლის 4 დეკემბერს გამოცემული N4883 განკარგულებით. ჩატარებული ბაზრის კვლევების შედეგად ცენტრმა გამარტივებული შესყიდვის ახალი ხელშეკრულება გააფორმა სხვა მომწოდებელთან (ი/მ დიმიტრი ხიჯაკაძე, ხელშეკრულება N96), რომელიც დასრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

<u>N-81 ხელშეკრულება.</u> თანხით 1150 ლარი. ცენტრს დაევალა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს ,,ყვირილა''-ს კეთილმოწყობისათვის სხვადასხვა სახის სამუშაოების შესრულება. აღნიშნული დავალების შესრულებისათვის სხვადასხვა დასახელების სამშენებლო მასალები შეძენილი იქნა ელ. ტენდერის საშუალებით, შესასყიდი დარჩა ბეტონი მ-200 21მ^3, 2 ტონა ცემენტი მ200 და სამშენებლო ბლოკი 20*40*20 550 ცალი.

აღნიშნულთან დაკავშირებით ცენტრს რამოდენიმეჯერ ჰქონდა გამოცხადებული ელ. ტენდერი, მაგრამ ყველა დასრულებული იქნა უარყოფითი შედეგებით NAT200015024, NAT20012762 და NAT20015551. გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვა გამოიწვია ელ. ტენდერების უშედეგოდ დასრულებამ, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია, რომ შექმნილი ვითარება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდა როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას, ასევე საზოგადოებრივ ინტერესებს, ვინაიდან შესყიდვის განუხორციელებლობის შემთხვევაში ცენტრი ვერ შეასრულებდა მასზე ნაკისრ ვალდებულებებს და ვერ ჩაატარებდა შპს ყვირილას კეთილმოწყობისათვის საჭირო სხვადასხვა სახის სამუშაოებს. შესაბამისად საჭირო გახდა შესყიდვა განხორციელებულიყო დროულად. ვინაიდან ტენდერის გამოცხადება მოითხოვდა გარკვეულ ვადებს, ცენტრმა 2020 წლის 20 ოქტომბერს N358 წერილით მიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს და ითხოვდა ნებართვას შესყიდვა მომხდარიყო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. სააგენტოში განხილული N358 წერილის შემაჯამებელი დასკვნის შედეგად 2020 წლის 23 ოქტომბერს შესყიდვების სააგენტომ გამოსცა N4239 განკარგულება და შემსყიდველ ორგანიზაციას მისცა თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე. ცენტრმა ჩატარებული ბაზრის კვლევების პროცედურის შემდეგ ხელშეკრულება გააფორმა შპს ალპედესთან, რომელიც ვადებშია შესრულებული.

<u>N-82 ხელშეკრულება</u>. თანხით 24900 ლარი. 2019 წლის 27 დეკემბრის N43 2085 ბრძანების საფუძველზე ცენტრს გამოეყო ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობისათვის (მზის პანელების მოწყობა) გრანტის სახით 20000 ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით 4900 ლარი. 2020 წლის 21 ოქტომბერს აღნიშნული სამუშაოებისათვის გამოცხადდა ტენდერი NAT200016254. წინადადებების დასრულების შემდეგ საბოლოო შეთავაზება დააფიქსირა პრეტენდეტმა შპს „ჰელიოს ენერჯიმ". სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესაბამისად პრეტენდეტმა ვერ უზრუნველყო მოთხოვნების დაკმაყოფილება და ცენტრის სატენდერო კომისიის 2020 წლის 29 ოქტომბრის N2 ოქმის შესაბამისად შპს ჰელიოს ენერჯის მიენიჭა დისკვალიფიკაცია (ოქმი N2 ატვირთულია ტენდერის შედეგების ველში). დისკვალიფიკაციის შესახებ ცენტრმა პრეტენდეტს აცნობა 2020 წლის 29 დეკემბერს N371 წერილით. ტენდერის უარყოფითი შედეგის დასრულებამ, ასევე 2019 წლის 27 დეკემბერს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიასა და ცეტრს შორის გაფორმებული N2 საგრანტო ხელშეკრულების პირობებმა, რომლის 1 მუხლის 1-1 პუნქტში მითითებული იყო, რომ ხელშეკრულების პირობები უნდა შესრულებულიყო 1 წლის ვადაში, COVID 19-ით გამოწვეული ფორსმაჟორული სიტუაციის გამო სატენდერო დოკუმენტაციის და ტენდერის გამოცხადება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 2020 წლის 21 ოქტომბერს, რომელიც როგორც ზემოთ არის ხსენებული, დასრულდა უარყოფითი შედეგით. ცენტრის განმარტებით, მზის პანელების შესყიდვისათვის ახალი ტენდერის გამოსაცხადებლად აუცილებელი პროცედურების დაწყება გამოიწვევდა ამ პროცესის 2021 საფინანსო წელში გადასვლას, რაც დააზარალებდა მუნიციპალიტეტის საზოგადოების, სერვის ცენტრის, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის საუკეთესო ინტერესებს. შესყიდვის გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ცენტრის იურისტის 2020 წლის 4 ნოემბრის N584 მოხსენებითი ბარათის და ცენტრის უფროსის მ/შ 2020 წლის 4 ნოემბრის N378 ბრძანების საფუძველზე, სააგენტომ შეაფასა არსებული სიტუაცია და მიიღო გადაწყვეტილება ცენტრისათვის მიეცა თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე (სააგენტოს 2020 წლის 4 ნოემბრის N4449 განკარგულება). აღნიშნული საქონლის შესყიდვა ცენტრმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით განხორციელდა 84 სახელმწიფო შესყიდვა საერთო თანხით 725853,41 ლარი, მათ შორის 22 შემთხვევაში კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით 326904,80 ლარი, ელექტრონული ტენდერის საშუალებით 11 შემთხვევაში 291487 ლარი, გამარტივებული შესყიდვის გზით 51 შემთხვევაში 107461,61 ლარი (დანართი N2). როგორც 2020, ისე 2021 წელში შესყიდვების პროცედურები განხორციელებულია არსებული კანონმდებლობის სრული დაცვით (სათანადო ბაზრის კვლევა, მიწოდების ვადები და ა.შ) შესაბამისად აუდიტს შენიშვნები ამ კუთხით არ გააჩნია.

უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის საანგარიშო პერიოდშიც არის შემთხვევები, როდესაც ცენტრმა განახორციელა სახელმწიფო შესყიდვა გადაუდებელი აუცილებლობით, აქაც პროცედურები განპირობებული იყო ცენტრის მხრიდან დამოუკიდებელი მიზეზების, ფაქტორებისა და გარემოებების გამო. ეს შესყიდვებია კერძოდ;

<u>N-42 ხელშეკრულება</u> თანხით 1560 ლარი. სერვის ცენტის ბალანსზე რიცხული ექსკავატორი-დამტვირთველის (მრავალფუნქციური ტრაქტორი) JCB სახ ნომრით: VV033V წინა საბურავების დაზიანების გამო საჭიროებას წარმოადგენდა ახალი საბურავის შეძენა, თუმცა საბურავების ეს მოდელი 12.5/80-18, რომელიც ესაჭიროებოდა სერვის ცენტრის ექსკავატორ-დამტვირთველს (მრავალფუნქციური ტრაქტორი), კონსოლიდირებულ ტენდერში CON21000249 არ იყო გათვალისწინებული. ცენტრის პასუხუსმგებელი პირის 2021 წლის 24 სექტემბრის N582 მოხსენებითი ბარათის და ცენტრის უფროსის მ/შ 2021 წლის 7 ოქტომბრის N454 წერილის საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარემ 2021 წლის 8 ოქტომბერს გამოსცა N3167 განკარგულება, რომლის თანახმად სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება. აღსანიშნავია, რომ შექმნილი ვითარება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდა როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას, ასევე საზოგადოებრივ ინტერესებს, ვინაიდან შესყიდვის განუხორციელებლობის შემთხვევაში სამსახური ვერ შეასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. შესაბამისად, საჭიროა შესყიდვა განხორციელდეს დროულად. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ მოცემული შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. ცენტრის მიერ ჩატარებული სათანადო ბაზრის კვლევის შემდეგ შესყიდვა განხორციელდა შპს „თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენტთან".

<u>N-55 ხელშეკრულება</u> თანხით 2990 ლარი. საახალწლო გასანათებელი მოწყობილობების მოსართავების დასამონტაჟებლად აუცილებლობას წარმოადგენდა კაბელის შესყიდვა. ცენტრის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების NAT210021069 და NAT210021663 უარყოფითი შედეგით დასრულებამ გამოიწვია გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის პროცედურების დაწყება. იქედან გამომდინარე, რომ გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემის აღმოფხვრა ელექტრონული ტენდერის პროცედურების მეშვეობით საჭიროებდა დიდ დროს და ვითარება ზიანს მიაყენებდა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ინტერესებს, ვერ განხორციელდებოდა საახალწლო გასანათებელი მოსართავების დამონტაჟების სამუშაოების დროული შესრულება და მუნიციპალიტეტი ვერ იქნებოდა მორთული წინა საახალწლო დღეებში. ცენტრმა მიიღო გადაწყვეტილება და დაიწყო პროცედურა საქონლის გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე. ცენტრის უფროსის მ/შ მოადგილის 2021 წლის 30 ნოემბრის და ცენტრის უფროსის მ/შ 2021 წლის N255 ბრძანების საფუძველზე, სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით

დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტებით და ცენტრმა მიიღო თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე, რაც დასტურდება სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 3 დეკემბრის N3816 განკარგულებით. ჩატარებული ბაზრის კვლევების შედეგად საქონლის მიწოდებისათვის ხელშეკრულება გაუფორმდა შპს „ელვარეს“.

N-60 ხელშეკრულება თანხით 5634 ლარი. სერვის ცენტრის ბალანსზე რიცხულ 1 (ერთი) ერთეულ ექსკავატორ-დამტვირთველს (მრავალფუნქციური ტრაქტორი), რომლის მომსახურების არეალი ძალიან დიდია, დაუზიანდა საბურავები. ელ ტენდერის პროცედურებისათვის საჭირო იყო გარკვეული დრო, რომელიც ხელს შეუშლიდა სერვის ცენტრს გამართულ მუშაობაში. საბურავების შესყიდვის განხორციელება იგეგმებოდა კონსოლიდირებული ტენდერით. სერვის ცენტრმა მიმართა ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას, მაგრამ ვინაიდან აღნიშნული საბურავების შესყიდვა გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცენტრმა შესყიდვაზე მიიღო უარი. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებს გარეთ გამარტივებული შესყიდვის განხორციელების მიზნით ცენტრმა პასუხისმგებელი პირის 2021 წლის 9 დეკემბრის მოხსენებითი ბარათის და ცენტრის უფროსის მ/შ 2021 წლის 17 დეკემბრის N279 ბრძანების საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების თავმჯდომარის 2021 წლის 20 დეკემბრის N4129 განკარგულების შესაბამისად ცენტრმა მიიღო თანხმობა პროცედურა განეხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის წესით. ჩატარებული ბაზრის კვლევების შედეგად 2021 წლის 21 დეკემბერს ხელშეკრულება გაუფორმდა შპს „თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენტს“ (ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2022 წლის 30 იანვრამდე). ხელშეკრულების პირობების თანახმად პრეტენდენტს საქონელი უნდა მიეწოდებინა ცენტრისათვის 2021 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით, თუმცა საქონლის მიწოდება მოხდა 24 დეკემბერს (ერთი დღის დაგვიანებით). აღნიშნულთან დაკავშირებით ცენტრის ხელმძღვანელობამ 2021 წლის 27 დეკემბერს N652 წერილით აცნობა შპს თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენტის დირექტორს ჯარიმის თაობაზე, რაც შეადგენდა 1,13 ლარს (5634 X 0,02% X 1 დღეზე). ხელშეკრულების მუხლი 7 პუნქტი 7.1 შესაბამისად საჯარიმო თანხა მიმწოდებლის მიერ სახაზინო ანგარიშზე გადახდილი იქნა 2021 წლის 29 დეკემბერს (CMR210146601 საგადახდო დავალება N1640789064).

N-27 ხელშეკრულება ელ. ტენდერი NAT210007850 შპს ,,EL-GROUP'' საერთო თანხით 113500 ლარი. ხელშეკრულება გაფორმდა 2021 წლის 27 მაისს და ხელშეკრულების 5.2 პუნქტის თანახმად მიწოდების ვადა განისაზღვრა 2021 წლის 16 ივლისამდე, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად 2021 წლის 20 აგვისტომდე. ელექტრო საქონელი მიმწოდებლის მიერ მიწოდებული იქნა ეტაპობრივად 28 და 30 მაისს თანხით 66845,15 ლარი, ხოლო დარჩენილი მისაწოდებელი საქონელი რომელიც შეადგენდა 46654,85 ლარს (შეუსრულებელი ვალდებულება) შპს ,,EL-GROUP''-მა ცენტრს მიაწოდა 2021 წლის 4 აგვისტოს ანუ 19 დღის დაგვიანებით. ვინაიდან საქონლის მიწოდება განხორციელდა დაგვიანებით და შესაბამისად დაირღვა ხელშეკრულებით ნაკისრი პირობა, ცენტრმა 2021 წლის 4 აგვისტოს N339 წერილით აცნობა მომწოდებელს დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის თაობაზე, რაც შეადგენდა 177,28 ლარს (46654,85 X 0,02% X 19 დღეზე=177,28). ხელშეკრულების დარღვევის გამო დაკისრებული ჯარიმა შპს ,,EL-GROUP''-მა (სახაზინო ანგარიში 300193287) გადაიხადა 2021 წლის 25 აგვისტოს, რაც დასტურდება ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტით (საგადახდო დავალება N-7794).

შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვის, ძირითადი აქტივების და მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციის შესაბამისობის აუდიტი

2020 წლის ცენტრის წლიური ბიუჯეტის მოცულობა დამტკიცდა 1763,8 ათ. ლარის ოდენობით. საკრებულოს შესაბამისი დადგენილებებით და მერის შესაბამისი ბრძანებების თანახმად ცენტრის მიერ მოხდენილია როგორც აბსოლუტური, ისე შიდამუხლობრივი ცვლილებები. ცენტრის ბიუჯეტი გაიზარდა 282,6 ათ.ლარით, რის შემდეგაც დაზუსტებულმა ბიუჯეტმა წლის ბოლოს შეადგინა 2046,4 ათ.ლარი. ხოლო რაც შეეხება ცენტრის ბიუჯეტის საკასო შესრულებას, 2020 წელში განხორციელებულმა საკასო შესრულებამ შეადგინა 1849,2 ათ.ლარი. სხვადასხვა ვალდებულებების შესასრულებლად ცენტრის მიერ 2021 წლისათვის დაკრედიტდა 118,7 ათ.ლარი, რომელიც გათვალისწინებული იქნა 2021 წლის საბიუჯეტო წლისათვის. დეტალური ინფორმაცია ხარჯების გეგმიური და ფაქტიური მონაცემების შესახებ მოცემულია დანართში N3 .

2021 წელში ცენტრის ბიუჯეტი დაიგეგმა და დამტკიცდა 1804,3 ათ.ლარის ოდენობით. საკრებულოს დადგენილებებისა და მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე მოხდენილია როგორც აბსოლუტური, ისე შიდამუხლობრივი ცვლილებები. წლის განმავლობაში ცენტრის ბიუჯეტი გაზრდილია 453,0 ათ. ლარით, რის შედეგად ცენტრის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 2257,3 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2146,5 ათ. ლარი. მომდევნო 2022 წლისათვის ცენტრის მიერ დაკრედიტებული იქნა 63,7 ათ. ლარი დაგეგმილი ვალდებულებების შესასრულებლად. დეტალური ინფორმაცია ხარჯების გეგმიური და ფაქტიური მონაცემების შესახებ მოცემულია დანართში N4.

შემოწმდა შრომის ანაზღაურების, საშემოსავლო გადასახადის დაკავებისა და შემოსავლების სამსახურში თვეების მიხედვით დეკლარაციების წარდგენის საკითხი.

2020 წელს - ცენტრში დარიცხულია შრომის ანაზღაურება, ბიულეტენი და განაცდური საერთო თანხით 829642,88 ლარი, დაკავებული საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 161077,02 ლარს, შემოსავლების სამსახურში დეკლარაციები წარდგენილია თავისდროულად და სწორად თვეების მიხედვით 161077,02 ლარზე (დანართი N5).

2021 წელს - შრომის ანაზღაურება და ბიულეტენი დარიცხულია 950432 ლარი, რომელზედაც საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია 182486,32 ლარზე წარდგენილია შემოსავლების სამსახურში თვეების მიხედვით სწორად და თავისდროულად (დანართი N6).

საანგარიშო პერიოდში ხელფასების დარიცხვისას საშემოსავლო გადასახადზე შეღავათით სარგებლობდა 5 პიროვნება, რომლებზედაც შემოსავლების სამსახურიდან წარმოდგენილია შესაბამისი ცნობა.

ცენტრის ბუღალტერიაში არსებული საბიუჯეტო სახსრების გეგმიური და საკასო ხარჯების ციფრობრივი მონაცემები შედარებულია ფინანსთა სამინისტოს სახელმწიფო ხაზინის მონაცემებთან და ისინი ერთმანეთის იდენტურია.

ცენტრის ფუნქციებში შედის მოსახლეობიდან და იურიდიული პირებიდან ნარჩენების გატანასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება, კერძოდ: იურიდიულ პირებთან ფორმდება ხელშეკრულებები საკრებულოს მიერ დამტკიცებული ტარიფების შესაბამისად, ხოლო ფიზიკურ პირებზე, ასევე საკრებულოს მიერ დამტკიცებული ტარიფების შესაბამისად, იგზავნება მხოლოდ შეტყობინებები. აღნიშნული საკითხების ორგანიზება და კონტროლი შესაბამისი ბრძანებით დავალებული აქვს ცენტრის სპეციალისტს (მ.ჯანიაშვილი). 2020 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ნარჩენების გატანის მომსახურეობიდან შემოსავალი დაგეგმილი იყო 100,0 ათ. ლარი წლიურად, რომლის შესრულებამ 2020 წელს 131,8 ლარი

შეადგინა, ხოლო 2021 წელს დაგეგმილი 171,9 ათ. ლარიდან ბიუჯეტში ჩარიცხულია 219,2 ათ. ლარი. მართალია დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება, მაგრამ მოსახლეობიდან გადასახადის ამოღების კუთხით კვლავ გასააქტიურებელია გადამხდელთა ბაზის დაზუსტებისა და გადასახადების ამოღების მექანიზმის შემუშავების ღონისძიებები.

2021 წლიდან ცენტრში დანერგილია ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ფასიანი მომსახურების სერვისი, კერძოდ; დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის შპს კომპაუდის მიერ 2020 წლის 17 დეკემბრის N145-ქ დასკვნის საფუძველზე დადგენილია ცენტრის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო-ტექნიკური საშუალებების საათობრივი და დღიური მომსახურების ტარიფები. მომსახურებით სარგებლობისათვის დამკვეთთან ფორმდება შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულება, რის მიხედვითაც ხდება დამკვეთისათვის მომსახურების გაწევა. 2021 წელში აღნიშნული სერვისებით ისარგებლა 15 იურიდიულმა პირმა და ბიუჯეტში ჩარიცხულმა თანხამ შეადგინა 12,4 ათ.ლარი. დეტალური მონაცემები ფასიანი მომსახურების შესახებ მოცემულია დანართში N7.

ცენტრი ასევე აწარმოებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი და უკიდურესად შეჭირვებული ოჯახებისათვის საშეშე მერქნის მიწოდებას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვის პროგრამულ ბიუჯეტში ყოველწლიურად გათვალისწინებულია გარკვეული თანხა. 2020 წელს აღნიშნული მუხლიდან ათვისებული იქნა 11,7 ათ. ლარი, რომელიც გადაერიცხა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს 130 m^3 საშეშე მერქნის შესაძენად. გარდა ამისა, ცენტრმა საკუთარი ძალებით მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი ნებართვების საფუძველზე დაამზადა დამატებით 149 m^3 საშეშე მერქანი და ჯამში 279 m^3 შეშით დაკმაყოფილდა 112 ბენეფიციარი (დანართი N8).

2021 წელსაც საშეშე მერქნის მიწოდების მიზნით 45,0 ათ. ლარით შეძენილი იქნა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოდან 500 m^3 საშეშე მერქანი. დამატებით ცენტრმა წლის განმავლობაში დაამზადა 393,2 m^3 საშეშე მერქანი და ჯამში სულ 893,2 m^3 შეშით დაკმაყოფილდა 360 ბენეფიციარი (დანართი N9).

აუდიტის მიერ საწვავის ნაშთები შედარებული იქნა შემოსული საწვავის ანგარიშ ფაქტურებისა და მათი ხარჯვის პირველადი დოკუმენტების (საგზურის ფურცლები, შესრულებული სამუშაოთა აქტები და სხვ.) მონაცემებს, სამივე სახის საწვავის მიხედვით. საწყის მონაცემებად აღებული იქნა 2020 წლის 1 მარტის (წინა აუდიტის) მონაცემები, ხოლო შემოწმება ჩატარდა 2022 წლის 25 იანვრის მდგომარეობით.

ბენზინი–2020 წლის 1 მარტისათვის ნაშთი შეადგენდა 0-ს, 2020 წლის 1 მარტიდან 2022 წლის 25 იანვრამდე საგადასახადო დოკუმენტების მიხედვით ცენტრში შემოსულია 18221,92 ლიტრი ბენზინი. თანახმად ცენტრის ბუღალტერიაში არსებული ხარჯვის დოკუმენტებისა ზემოთხსენებულ პერიოდში გახარჯულია 18201,92 ლიტრი ბენზინი. ნაშთი 2022 წლის 25 იანვრისათვის ფიქსირდება 20 ლიტრი (დანართი N10).

დიზელი–2020 წლის 1 მარტისათვის დიზელის საწვავის ნაშთი შეადგენდა 14 ლიტრს. საგადასახადო დოკუმენტების საფუძველზე დგინდება, რომ 2020 წლის 1 მარტიდან 2022 წლის 25 იანვრამდე პერიოდში ცენტრში შემოვიდა დიზელის საწვავი 172954,81 ლიტრის ოდენობით, ხოლო ხარჯვის დოკუმენტების თანახმად აღნიშნულ პერიოდში ჩამოწერილია 172936 ლიტრი დიზელი. ნაშთი 2022 წლის 25 იანვრისათვის ფიქსირდება 32 ლიტრი (დანართი N10).

ბუნებრივი აირი–2020 წლის 1 მარტისათვის ბუნებრივი აირის ნაშთი ტალონების სახით შეადგენდა 2795 მ³. 2020 წლის 1 მარტიდან 2022 წლის 25 იანვრამდე საგადასახადო დოკუმენტებით შემოსულია 40800 მ³ ბუნებრივი აირის ტალონი, გახარჯულია ამ პერიოდის განმავლობაში 41020 მ³. ტალონების ნაშთი უნდა შეადგენდეს 2575 მ³ . შემოწმებით დადგინდა, რომ 2100 მ³ ადგილზე ჰქონდა ცენტრის უფროსის მ/შ-ს და 475 მ³ ჰქონდა ცენტრის მატერიალურად პასუხისმგებელ პირს (დანართი N10).

საწვავების ხარჯვის დოკუმენტაციის შემოწმებისას გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ექსკავატორის და გრეიდერის მიერ შესრულებული სამუშაოების აქტები არ არის დამოწმებული შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის მიერ, სადაც შესრულდა სამუშაოები. ასევე ფიქსირდება შემთხვევა, როდესაც ცენტრის ავტომანქანით შესრულდა რეისი ქალაქგარეთ სათადარიგო ნაწილების ჩამოსატანად. საგზურის ფურცელი გამოწერილია, თუმცა მივლინების ბრძანება არაა გამოცემული. ცენტრის წარმომადგენელთა განმარტებით, სათადარიგო ნაწილი მიიღეს უსასყიდლოდ კერძო პირისაგან და ის მივლინების ფურცელს ვერ დაუმოწმებდა.

რაც შეეხება ქრონომეტრაჟით დადგენილი საწვავის ნორმების დაცვის საკითხს, საწვავის ხარჯი 100 კმ-ზე გაანგარიშებით გაზრდილია საშუალოდ 3-4 ლიტრით.

ბენზოიარაღებით შესრულებული სამუშაოები: ბენზოიარაღებით (ბენზოხერხი და ბენზოცელი) შესრულებულ სამუშაოებზე დგება შესაბამისი აქტები სამუშაოს ხასიათისა და დახარჯული საწვავის ოდენობის ჩვენებით. აქტს ხელს აწერს ცენტრის უფროსი ან მოადგილე, შემსრულებელი მუშები და მოწმდება ცენტრის ბეჭდით. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამუშაოებზე ჩამოწერილი საწვავის ოდენობა თანხვედრაშია ამ მიზნით შედგენილ შესრულებული სამუშაოს აქტებთან, აუდიტმა ამ კუთხით გასცა შემდეგი მითითებები: 1. შესრულებული სამუშაოს აქტები დაინომროს და გატარდეს სპეციალურად ამისათვის შემოღებულ ზონარგაყრილ, დალუქულ ჟურნალში; 2. აქტში შეტანილი იქნას ინფორმაცია სამუშაოს მსვლელობისას მწყობრიდან გამოსული ამათუიმ სათადარიგო ნაწილის შესახებ;

ფიქსირდება შესრულებული სამუშაოს აქტებზე ისეთი პასუხისმგებელი პირების ხელმოწერები, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში იმყოფებოდნენ შვებულებაში.

რაც შეეხება ცენტრში შემოსული სხვადასხვა სახის ელექტროსაქონელის ჩამოწერის მდგომარეობას, აქაც დაუნომრავია და არ რეგისტრირდება შესრულებული სამუშაოს აქტები დალუქულ ჟურნალში და აქაც გვხვდება აქტებში შვებულებაში მყოფი პიროვნებების ხელმოწერები. აღნიშნული ხარვეზების გამოსწორების მიზნით ცენტრის ხელმძღვანელობას მიეცა მითითება.

ცენტრი მყარი ნარჩენების გატანას ახდენს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან თერჯოლის მუნიციპალიტეტის ე.წ. კოხრის ნაგავსაყრელზე. დაზუსტებისა და შედარების მიზნით 2020 და 2021 წლის მონაცემები გატანილი ნარჩენების შესახებ სამსახურის მიერ გამოთხოვილი იქნა შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიიდან. ცენტრის ბუღალტერიაში არსებული საგზურის ფურცლებში დაფიქსირებული მყარი ნარჩენების რაოდენობის მონაცემების (დანართი N11) და მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის 2022 წლის 21 თებერვლის N04-222205275-22 წერილში მოყვანილი ანალოგიური მონაცემების (დანართი N12) შედარების თანახმად დგინდება შემდეგი;

2020 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 იანვრამდე ცენტრის საგზურის ფურცლის მონაცემებით შესრულებულია 3365 რეისი და გატანილი საყოფაცხოვრებო ნარჩენის რაოდენობა შეადგენს 13438060 კგ, ხოლო მართვის კომპანიის მიერ მოწოდებეული მონაცემებით შესრულებულია 3457 რეისი და გატანილია 13693480 კგ საყოფაცხოვრებო

ნარჩენი. ფიქსირდება გარკვეული სხვაობები როგორც ავტომანქანების მიერ შესრულებულ რეისების, ასევე ჩატანილ ნარჩენების წონებს შორის. აღნიშნული სხვაობები გამოწვეულია იმით, რომ შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიიდან მოწოდებულ ინფორმაციაში ფიქსირდება ისეთი მანქანები, რომლებიც ცენტრის ბალანსზე არ ირიცხება. ასევე ფიქსირდება ისეთი შემთხვევები, როდესაც მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში არაა ცენტრის ავტომანქანების მიერ შესრულებული რეისი დაფიქსირებული, თუმცა ცენტრის საგზურის ფურცლებში შესრულებულ რეისს ადასტურებს კომპანიის წარმომადგენელი ხელმოწერით. დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართში N13.

2021 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 იანვრამდე ცენტრის საგზურის ფურცლის მონაცემებით შესრულებულია 3360 რეისი, გატანილი საყოფაცხოვრებო ნარჩენის რაოდენობამ შეადგენა 13174821 კგ (დანართი N14), ხოლო მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ მოწოდებეული მონაცემებით შესრულებულია 3393 რეისი და გატანილია 13014450 კგ საყოფაცხოვრებო ნარჩენი (დანართი N15). ანალოგიური უზუსტობებია აქაც, კერძოდ; ფიქსირდება გარკვეული სხვაობები როგორც ავტომანქანების მიერ შესრულებულ რეისების, ასევე ჩატანილ ნარჩენების წონებს შორის. აღნიშნული სხვაობები გამოწვეულია იმით, რომ შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიიდან მოწოდებულ ინფორმაციაში ფიქსირდება ისეთი მანქანები, რომლებიც ცენტრის ბალანსზე არ ირიცხება. ასევე ფიქსირდება ისეთი შემთხვევები, როდესაც მყარი ნარჩენების კომპანიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში არაა ცენტრის ავტომანქანების მიერ შესრულებული რეისი დაფიქსირებული, თუმცა ცენტრის საგზურის ფურცლებში შესრულებულ რეისს ადასტურებს კომპანიის წარმომადგენელი ხელმოწერით. დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართში N16. გვხვდება ასევე პერიოდი (2020 წლის აპრილ-მაისი), როდესაც საყოფაცხოვრებო ნარჩენების ჩატანისას საგზურის ფურცლებში არაა მითითებული რეისის ოდენობა და წონა, ასევე არაა მყარი ნარჩენების სააგენტოს წარმომადგენლის ხელმოწერა.

შემოწმების პერიოდში ცენტრის ბალანსზე ირიცხება 34 ერთეული სპეცტექნიკა, აქედან სახეზეა 28 ერთეული, ხოლო 6 ერთეული „დტ"-ს მარკის ტრაქტორი სხვადასხვა სოფლებშია განთავსებული. მათი შეძენის კანონიერების შესახებ საქმე გადაცემულია სამართალდამცავ ორგანოებზე.

ცენტრის საინვენტარიზაციო კომისიის მიერ 2021 წლის 31 დეკემბერს ჩატარდა ბალანსზე არსებული მატერიალური აქტივების საინვენტარიზაციო აღრიცხვა, რომელიც ჩატარებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად.

V. <u>რეკომენდაციები</u>

- ცენტრმა უნდა მიმართოს დამფუძნებელს შეიტანოს ცვლილებები მოქმედ წესდებაში 2017 წელს გამგეობის მერიად რეფორმირების შედეგების გათვალისწინებით.
- დასანერგია ადმინისტრაციის თანამშრომელთა სამუშაო დროის აღრიცხვის სატაბელო სისტემა.
- მოსაწესრიგებელია ცენტრის იურიდიული მისამართის საკითხი.
- აღრიცხვიანობის მოწესრიგების მიზნით, როგორც ელექტროსაქონელზე, ასევე ბენზოიარაღებზე შედგენილი შესრულებული სამუშაოების აქტები დაინომროს და გატარდეს ამისათვის სპეციალურად შემოღებულ და სათანადოდ დალუქულ ჟურნალებში.

- გამოირიცხოს შემთხვევები, როცა ექსკავატორისა და გრეიდერის მიერ შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელ დოკუმენტზე ხელს არ აწერს იმ ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი, სადაც შესრულდა სამუშაო.

- ცენტრის ხელმძღვანელობამ წარმოადგინოს დასაბუთება, თუ რატომ მოიმატა საწვავის ხარჯმა წინა აუდიტის დროს ჩატარებული საწვავის ხარჯვის ქრონომეტრაჟის შედეგად დადგენილ ნორმებთან შედარებით.

- ცენტრის ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საწვავის ჩამოწერის დოკუმენტაციის ზუსტ მონაცემებზე დაყრდნობით და სრულყოფილი სახით წარმოებას.

დანართი 297 ფურცელზე

შიდა აუდიტის პერიოდში, ცენტრის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირები არიან:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. ,,ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრის უფროსის მ/შ ოლეგ შველიძე (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 18 დეკემბრის N43 1999 ბრძანება), ცენტრის მთავარი ბუღალტერი ირაკლი ჩხეიძე (ცენტრის 2011 წლის 3 იანვრის №04 ბრძანება).

აუდიტორთა ჯგუფი:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტისა და მონიტორინგის
სამსახურის მესამე რანგის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი — მალხაზ კურცხალია

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტისა და მონიტორინგის
სამსახურის მესამე რანგის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი — მიხეილ ბრეგვაძე

აუდიტორულ ანგარიშს გავეცანი და ვეთანხმები:

ა.(ა).ი.პ. ,,ზესტაფონის დასუფთავებისა
და კეთილმოწყობის
სერვის ცენტრის უფროსის მ/შ — ოლეგ შველიძე

მთავარი ბუღალტერი — ირაკლი ჩხეიძე